

გზამკვლევი

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის
ტერიტორიული ორგანოების
ხელმძღვანელებისთვის (რწმუნებულებისთვის)

გამოცემის ავტორი: ოთარ ქოჯაია, კავკასიის ეკონომიკური და
კვლევითი ინსტიტუტი

გამოცემა მომზადებულია პროექტის "საქართველოში სოფლის ასოციაციების გან-
ვითარების ხელშეწყობა" (STAGE) ფარგლებში, რომელსაც CARE-ავსტრია და CARE
საერთაშორისო კავკასიაში ასოციაციებზე პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად
– საერთაშორისო ასოციაცია კივიტანს-საქართველო, საქართველოს ახალგაზრდა
იურისტთა ასოციაცია (ტრენინგის განმარტებული) და სამოქალაქო განვი-
თარების სააგენტო (CiDA).

გამოცემა მოამზადა: სამოქალაქო განვითარების სააგენტო (CiDA)

სარჩევი

წინასიტყვაობა	3
სახელმძღვანელოში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები	4
თვითმმართველობის არსი და უფლებამოსილებათა ძირითადი პრინციპები	8
ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიული მართვის ორგანო. გამგეობის (მერიის) რწმუნებული და მათი უფლებამოსილებები	12
თვითმმართველ ერთეულში შემავალ ადმინისტრაციულ ერთეულებში მოსახლეობის პრიორიტეტებისა და საჭიროების დადგენის ხერხები	14
საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის პრინციპები და ადგილობრივი შესყიდვები	16
დანართები	
დანართი №1 სატენდერო დოკუმენტაციის ტიპური ფორმები	25
დანართი №2. დოკუმენტაცია ფასთა კოტირების საშუალებით საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების შესყიდვისათვის	30

წინასიტყვაობა

თქვენს წინაშეა სახელმძღვანელო „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელთათვის (რწმუნებულებისათვის)“, სადაც გამარტივებული ენითაა გადმოცემული ინფორმაცია ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელთა საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობისა და პროცედურების, ასევე მათი ძირითადი ფუნქციებისა და უფლებამოსილებების შესახებ. სახელმძღვანელო შედგება რამოდენიმე ბლოკისაგან, სადაც სისტემურად არის დალაგებული და განხილული საქართველოს კანონმდებლობითა და პროცედურებით რეგულირებადი ის უმნიშვნელოვანესი საკითხები, რომლებიც წარმოადგენენ თვითმმართველობის ფუნქციონირებისა და განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებს და რომელთა ცოდნაც განსაკუთრებით აუცილებელია ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულთათვის თავიანთი საქმიანობის კანონიერად და ეფექტიანად წარსამართავად.

სახელმძღვანელოს I ბლოკი უზრუნველყოფს სახელმძღვანელოში გამოყენებული ტერმინების განმარტებას, რაც დაგეხმარებათ თვითმმართველობის მარეგულირებელი კანონმდებლობისა და პროცედურების ადვილად აღქმაში და არ დაგეხმარებათ დრო სპეციალურ ლექსიკონებსა თუ სახელმძღვანელოებში მათი მნიშვნელობების საძიებლად;

სახელმძღვანელოს II ბლოკში გადმოცემულია ადგილობრივი თვითმმართველობის არსი, მისი ძირითადი ფუნქციები და უფლებამოსილებები;

სახელმძღვანელოს III ბლოკში გაერკვევით როგორია საქართველოში თვითმმართველი ერთეულის შიდა ადმინისტრაციული მოწყობა, რა არის მართვის ტერიტორიული ორგანო და ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელების (რწმუნებულების) უფლებამოსილებები, რაც საშუალებას მოგცემთ უკეთ გაერკვეთ თქვენს ფუნქციებში და საქმიანობის ფორმების შერჩევაში;

სახელმძღვანელოს IV ბლოკში მოცემულია მოსახლეობის პრიორიტეტებისა და საჭიროების დადგენის ხერხები, როგორ უნდა შეძლოთ მოსახლეობის წინაშე არსებული პრობლემების და საჭიროებების იდენტიფიცირება, მასახლეობასთან შეთანხმებით პირველი რიგის პრიორიტეტების დადგენა და მათი გადაწყვეტის გზების შესახებ წინადადებების მომზადება;

სახელმძღვანელოს V ბლოკი საშუალებას მოგცემთ გაერკვეთ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის პრინციპებში, ასევე გაეცნოთ ადგილობრივი შესყიდვების განხორციელების წესს და პროცედურებს.

პროექტის გუნდი იმედოვნებს, რომ ჩვენს მიერ შექმნილი სახელმძღვანელო აუცილებლად პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს თვითმმართველობების წარმომადგენლებს და ხელს შეუწყობს მათ ყოველდღიური საქმიანობის ეფექტიანად წარმართვაში.

გისურვებთ წარმატებებს თქვენს საქმიანობაში.

1. სახელმძღვანელოში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

ადგილობრივი თვითმმართველობა – საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მოაწესრიგონ და მართონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები საკუთარი პასუხისმგებლობით და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო – ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების მიზნით, ამ კანონით დადგენილი წესით შექმნილი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი (საკრებულო) და აღმასრულებელი (გამგეობა/მერია) ორგანოები.

ადმინისტრაციული ერთეული – თვითმმართველი ერთეულის ნაწილი, სადაც იქმნება ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიული ორგანო. ადმინისტრაციული ერთეულებია:

- დასახლება (სოფელი, დაბა, ქალაქი);
- დასახლებათა გაერთიანება (თემი);
- დასახლების ნაწილი (უბანი).

გადუდებული აუცილებლობა – ვითარება, რომელიც რეალურ საფრთხეს უქმნის შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირებას, ან რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივ ინტერესებს, ან შემსყიდველი ორგანიზაციის ქონებას, ან შეზღუდოს სანარმოს კონკურენტუნარიანობა.

დაბა – არანაკლებ 3000 მოსახლისაგან შემდგარი დასახლება, რომლის ტერიტორიაზედაც არსებობს სამრეწველო საწარმოები, კომუნალური მეურნეობა, სამკურნალო და სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა ქსელი, რითაც იგი ასრულებს ადგილობრივი ეკონომიკურ-კულტურული ცენტრის ფუნქციებს. ამასთანავე, არ გააჩნია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის საკმარისი მიწის სავარგულები. დაბის კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს დასახლება, რომლის მოსახლეთა რიცხვი 3000-ზე ნაკლებია, თუ იგი არის თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული ცენტრი.

დასახლება – მოსახლეობის განსახლების პირველადი ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც ჰყავს მუდმივი მცხოვრებლები, აქვს ფუნქციონალური ინფრასტრუქტურა და რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. დასახლება შედის თვითმმართველი ერთეულის შემადგენლობაში ან თვითმმართველი ერთეულია. დასახლების კატეგორიებია: სოფელი, დაბა, ქალაქი.

დელეგირებული უფლებამოსილებები — სახელმწიფო მმართველობის ორგანოს უფლებამოსილება, რომელთა თვითმმართველობებისათვის გადაცემა ხდება კანონით ან ხელშეკრულებების საფუძველზე, შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსების გადაცემით.

ექსკლუზიური უფლებამოსილებები — თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილება, რომელსაც იგი ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საკუთარი პასუხისმგებლობით და დამოუკიდებლად.

თვითმმართველი ერთეული – დასახლება (თვითმმართველი ქალაქი) ან დასახლებათა ერთობლიობა (მუნიციპალიტეტი), რომელსაც ჰყავს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, აქვს საკუთარი ქონება, შემოსავლები, ბიუჯეტი, ადმინისტრაციული ცენტრი და დამოუკიდებელი იურიდიული პირია.

თვითმმართველი ქალაქი – ქალაქის კატეგორიის დასახლება, რომელსაც ამ კანონის შესაბამისად, აქვს თვითმმართველი ერთეულის სტატუსი.

ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვა – განსაკუთრებული სახის შესყიდვა, რომლის ობიექტია ინტელექტუალური და სხვა სახის საკონსულტაციო მომსახურება – მომსახურება სასწავლო-საგანმანათლებლო სფეროში, მომსახურება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, მომსახურება ტელე და რადიომაუწყებლობის სფეროში, მომსახურება არქიტექტურის, საინჟინრო გამოკვლევისა და მასთან დაკავშირებული ტექნიკური დარგების სფეროში, მმართველობითი მომსახურება, მეცნიერული კვლევები და ექსპერიმენტები, საპროექტო სამუშაოები და სხვა საქმიანობის სახეები, რომლებიც მიეკუთვნება ინტელექტუალურ მომსახურებას.

ლოტი – ერთი შესყიდვის ფარგლებში გამოცალკევებული შესყიდვის ობიექტი, რომელიც შემდგომ დაყოფას არ ექვემდებარება. შესყიდვების კანონმდებლობის შესაბამისად, პრეტენდენტმა სატენდერო წინადადება შეიძლება წარადგინოს მისთვის სასურველ ერთ ან მეტ ლოტზე, ხოლო გამარჯვებული უნდა გამოვლინდეს ყოველ ლოტზე ცალ-ცალკე.

მიმწოდებელი – საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

მომსახურება – შესყიდვის ნებისმიერი ობიექტი, საქონლისა და სამუშაოს გარდა, ასევე იჯარა, ქირავნობა და ლიზინგი.

მუნიციპალიტეტი – დასახლებათა ერთობლიობა, რომელსაც ამ კანონის შესაბამისად, აქვს თვითმმართველი ერთეულის სტატუსი.

ნებაყოფლობითი უფლებამოსილება – ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილება, საკუთარი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება ყველა იმ საკითხზე, რომელიც კანონის თანახმად, არ განეკუთვნება თვითმმართველი ერთეულის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას ან სახელმწიფო მმართველობის ორგანოს უფლებამოსილებას და არ არის აკრძალული თვითმმართველი ერთეულისთვის.

პრეტენდენტი – საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც გადაიხადა სატენდერო მოსაკრებელი.

სამშენებლო სამუშაო – შენობის, ნაგებობის ან სხვა ობიექტის მშენებლობასთან, რეკონსტრუქციასთან, ნგრევასთან, რემონტთან ან განახლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სამუშაო (მ.შ. სამშენებლო მოედნის მოწყობა, გრუნტის ამოღება, შენობის ან ნაგებობის აგება-აშენება, ალჭურვილობის მონტაჟი, მოპირკეთება და მოსაპირკეთებელი სამუშაოები, მშენებლობასთან დაკავშირებული საკომუნიკაციო ქსელების მოწყობის სამუშაოები), აგრეთვე მშენებლობის თანამდევი მომსახურება, როგორცაა ბურღვა, გეოდეზიური სამუშაოები, კოსმოსური და აეროგადაღება, სეისმური კვლევა და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ანალოგიური მომსახურება, თუ ამ მომსახურების ღირებულება არ აღემატება სამშენებლო სამუშაოს ღირებულებას.

სახელმწიფო შესყიდვა – შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ნებისმიერი საქონლის, მომსახურების და სამშენებლო სამუშაოს შესყიდვა, რომელიც ხორციელდება შემდეგი სახსრებით:

- საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და სახელმწიფო ბიუჯეტში კონსოლიდირებული სახსრებით;
- აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების სახსრებით;
- ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრებით;
- საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების და დანესებულებების სახსრებით;
- უცხო ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე გრანტის და კრედიტის სახით მიღებული სახსრებით;
- სახელმწიფო გარანტიით მიღებული საკრედიტო და საინვესტიციო სახსრებით;
- საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახსრებით, ამ სახსრების წარმოშობის წყაროს მიუხედავად;
- იმ საწარმოს სახსრებით, რომლის საწესდებო კაპიტალის 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანო.

საქონელი – ნებისმიერი სახისა და აღწერილობის საგანი (მ.შ. ნედლეული, ნაკეთობა, მოწყობილობა, შენობა, ნაგებობა, წარმოების სხვა საშუალება, მონხარების საგანი) როგორც მყარ, ისე თხევად ან აირად მდგომარეობაში, აგრეთვე ელექტროენერგია, საქონლის მიწოდების თანამდევი მომსახურება, თუ ამ მომსახურების ღირებულება არ აღემატება საქონლის ღირებულებას.

სოფელი – დასახლება, რომლის საზღვრებშიც მოქცეულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის გათვალისწინებული მიწა და სხვა ბუნებრივი რესურსები ან/და რომლის ინფრასტრუქტურა ძირითადად ორიენტირებულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელებაზე.

სტანდარტები – ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ პირობებში მითითებულ სტანდარტებს.

ფასთა კოტირება – გამარტივებული საშუალება საქონლის, მომსახურებისა და მცირე სახის სამუშაოს შესყიდვისათვის, რომლის დროსაც განმსაზღვრელია ფასის კრიტერიუმი.

ქალაქი – არანაკლებ 5000 მოსახლისაგან შემდგარი მსხვილი დასახლება, რომელსაც აქვს საქალაქო მეურნეობა და ეკონომიკურ-კულტურული ცენტრია. ქალაქის კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს დასახლება, რომლის მოსახლეთა რიცხვი 5000-ზე ნაკლებია, თუ იგი არის თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული ცენტრი ან აქვს შემდგომი ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის ზრდის უახლოესი პერსპექტივა. ქალაქებს, მათთვის დაკისრებული სპეციფიკური ფუნქციებიდან და სახელმწიფო მნიშვნელობიდან გამომდინარე, შეიძლება მიენიჭოს სპეციალური სტატუსი.

შემსყიდველი ორგანიზაცია – ტერმინის „სახელმწიფო შესყიდვის“ განმარტებაში მოცემული სახსრებით შესყიდვის განმახორციელებელი პირი.

შესყიდვის ობიექტი – შესასყიდი საქონელი, მომსახურება ან სამშენებლო სამუშაო.

შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტი – არაიდენტური, მაგრამ მსგავსი კომპონენტების, ტექნიკური მანევრებლების (მახასიათებლების) ან/და ფუნქციების მქონე, ურთიერთშენაცვლებადი შესყიდვის ობიექტები.

შესყიდვების სააგენტო – საჯარო სამართლის იურიდიული პირი, მუდმივმოქმედი დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც შესყიდვებთან დაკავშირებულ საქმიანობაზე ახორციელებს კოორდინაციასა და მონიტორინგს.

ხელშეკრულების ღირებულება – ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

2. თვითმმართველობის არსი და უფლებამოსილებათა ძირითადი პრინციპები

თანამედროვე ლიტერატურაში სამართლიანად უწოდებენ ადგილობრივ თვითმმართველობას მართვის სკოლას. იგი მართვის, მართლაც რომ უნიკალური ფორმაა, რომლის დროსაც მართვის პროცესში ადგილობრივი საზოგადოების ფართო სპექტრი მონაწილეობს.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები მოწოდებული არიან შეასრულონ ფუნქციების მთელი წყება სუბსიდიარობის პრინციპიდან გამომდინარე. **სუბსიდიარობის პრინციპი** გულისხმობს, რომ არ შეიძლება მმართველობის ზედა დონეს გადაეცეს ისეთი ფუნქციები, რომელთა შესრულებაც ბევრად უფრო ეფექტურად შეიძლება განხორციელდეს ადგილობრივ (ქვედა) დონეზე.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის პრეამბულაში აღნიშნულია, რომ: „სწორედ ადგილობრივ დონეზე შეიძლება ყველაზე ეფექტურად ამ უფლების პირდაპირი რეალიზაცია“ (იგულისხმება მოქალაქეთა უფლება მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო საქმეების წარმართვაში). ამავე დროს, იქვეა მითითებული, რომ “ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არსებობას, რომლებსაც გააჩნიათ რეალური პასუხისმგებლობა, შეუძლია უზრუნველყოს ეფექტური და ამასთან, მოქალაქესთან დაახლოებული მმართველობა.“

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 1-ლი მუხლის „ა“ პუნქტი ახდენს ადგილობრივი თვითმმართველობის განმარტებას. **ადგილობრივი თვითმმართველობა** არის „საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მოანერგონ და მართონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები საკუთარი პასუხისმგებლობით და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად.“

ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებათა სახეების ჩამონათვალი მოცემულია ორგანული კანონის მე-15 მუხლში, რომლის თანახმადაც, თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებათა სახეებია:

1. ექსკლუზიური უფლებამოსილებები;
2. დელეგირებული უფლებამოსილებები;
3. ნებაყოფლობითი უფლებამოსილებები.

ექსკლუზიური უფლებამოსილები არის თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილება, რომელსაც იგი ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით. ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა ჩამონათვალი განერილია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პარაგრაფში. ჩამონათვალის ერთი ნაწილი შეეხება უშუალოდ ადგილობრივი თვითმმართველობების საქმიანობის ფორმებს, ხოლო მეორე ნაწილი მიუთითებს ცალკეულ სფეროებში არსებულ უფლებამოსილებათა შესახებ.

საქმიანობის ფორმებში ჩამოთვლილია ისეთი ფუნდამენტალური უფლებები,

როგორცაა:

- ბიუჯეტის მიღება და შესრულება («გ» პუნქტი): „თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება, ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა და შეფასება.“
- ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება («დ» და «ე» პუნქტები): დ) ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება, მათი განაკვეთების დადგენა კანონით გათვალისწინებული ზღვრული ოდენობების ფარგლებში; ე) ადგილობრივი მოსაკრებლების ამოღება.“
- ბიუჯეტით დაგეგმილი ადგილობრივი შესყიდვების განხორციელება («ქ» პუნქტი): „ადგილობრივი შესყიდვების განხორციელება.“
- ქონებისა და მინის რესურსების მართვა («ა» და «ბ» პუნქტები): ა) თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა და განკარგვა; ა¹) იურიდიული პირების შექმნა, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია; ბ) თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მინის რესურსების მართვა და განკარგვა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.“

ჩამონათვალში არსებული სხვა პუნქტები შეეხება უშუალოდ რომელიმე კონკრეტული სფეროს რეგულირებას. აღნიშნული სფეროები რამდენიმე ბლოკად შეიძლება დაჯგუფდეს:

- მინათსარგებლობა (პუნქტები «ვ» და «ზ»):
- ვ) მინათსარგებლობის დაგეგმვა, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის ზონებად (გამწვანების, დასვენების, სამრეწველო, სავაჭრო და სხვა სპეციალური ზონები) დაყოფა, მათი საზღვრების დადგენა და შეცვლა;
- ზ) ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის და ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის რესურსების მართვა.“
- კომუნალური მეურნეობა (პუნქტი «მ»):
- „მ) ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრა, დასახლებებში ქუჩების დასუფთავება, განათება, ნყალმომარაგების, სანიაღვრე მეურნეობის, კანალიზაციის, საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებისა და უტილიზაციის სამუშაოთა წარმოების დაგეგმვა და განხორციელება ან მათ განხორციელებაზე მუნიციპალური შესყიდვის ორგანიზება, სასაფლაოების მოვლა-პატრონობა.“
- ტრანსპორტი და საგზაო ინფრასტრუქტურა (პუნქტები «ი», «ნ» და «უ»):
- ი) ადგილობრივი სამგზავრო გადაზიდვების რეგულირება;
- ნ) ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შენახვა, მშენებლობა და განვითარების უზრუნველყოფა;
- უ) თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე, გარდა საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა, საგზაო მოძრაობის დაგეგმარება.“
- მშენებლობა (პუნქტი «თ»):

- თ) კანონით დადგენილი წესით მშენებლობის ნებართვის გაცემა, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის ფარგლებში მიმდინარე მშენებლობაზე ზედამხედველობა.“
- კულტურისა და განათლების სფერო (პუნქტები «ო» და «პ»):
- ო) სოციალურ-კულტურული ღონისძიებების განხორციელება და შესაბამისი ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტების (არქივი, ბიბლიოთეკა, მუზეუმი, საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებები და სხვა) საქმიანობის ხელშეწყობა;
- პ) სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფორმით შექმნა და მათი წესდებების დამტკიცება.“
- ჯანდაცვა (პუნქტი «ს»):
- ს) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში რესურსების მობილიზება, შესაბამისი ღონისძიებების (ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ჯანმრთელობისთვის რისკფაქტორების იდენტიფიცირება) შემუშავება, განხორციელება და მოსახლეობის ინფორმირება.“
- სტრატეგიული დაგეგმვა (პუნქტები «ჟ» და «რ»):
- ჟ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თვითმმართველი ერთეულის სივრცით-ტერიტორიული მოწყობა;
- რ) თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების, მუნიციპალური პროგრამებისა და გეგმების დამტკიცება.“
- ლიცენზირება (პუნქტები “კ” და “ლ”):
- კ) გარე ვაჭრობის რეგულირება;
- ლ) გარე რეკლამის განთავსების რეგულირება.“
- ზოგადი ადმინისტრირება (პუნქტები “ტ”, “ფ” და “ლ”):
- ტ) თვითმმართველი ერთეულის მუნიციპალური სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- ფ) შეკრებების, მიტინგების, დემონსტრაციების ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;
- ლ) ქუჩების, მოედნების სახელდება და ნუმერაცია.“

კანონმდებლობა ნათლად განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მოვალეობასა და ვალდებულებებს ექსკლუზიური უფლებამოსილებების განხორციელების პროცესში: თვითმმართველი ერთეული ექსკლუზიურ უფლებამოსილებებს ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით. თვითმმართველი ერთეულის ექსკლუზიური უფლებამოსილებები განისაზღვრება ორგანული კანონით. დაუშვებელია

თვითმმართველი ერთეულის მიერ ექსკლუზიური ან ნებაყოფლობითი უფლებამოსილებების იმგვარი გამოყენება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს საქართველოს საკანონმდებლო აქტის მოთხოვნათა დარღვევა, თვითმმართველ ერთეულებს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეზღუდვა, ან საფრთხე შეუქმნას მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებას.

დელეგირებული უფლებამოსილება არის სახელმწიფო მმართველობის ორგანოს უფლებამოსილება, რომელიც კანონის თანახმად, ან ადგილობრივი თვითმმართველობისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე განსახორციელებლად გადაეცემა თვითმმართველ ერთეულს.

ექსკლუზიური უფლებამოსილებებისაგან განსხვავებით, ორგანული კანონი არ იძლევა დელეგირებული უფლებამოსილებების ჩამონათვალს. დელეგირება შესაძლებელია კანონით ან ცენტრალურ ხელისუფლებასა და ცალკეულ ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრულ შემთხვევებში:

- სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ თვითმმართველი ერთეულისათვის უფლებამოსილებათა დელეგირება დაიშვება საქართველოს საკანონმდებლო აქტების, აგრეთვე ხელშეკრულებების საფუძველზე, შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსების გადაცემით.
- სახელმწიფო მმართველობის ორგანოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისას თვითმმართველ ერთეულსა და შესაბამის სამსახურებს ზედამხედველობას უწევს კანონით ან შესაბამისი ხელშეკრულებით უფლებამოსილი სახელმწიფო მმართველობის ორგანო.

ექსკლუზიურ და დელეგირებულ უფლებამოსილებათა გარდა, კანონმდებლობა ცნობს ნებაყოფლობითი უფლებამოსილების ცნებასაც.

ნებაყოფლობითი უფლებამოსილება არის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილება, საკუთარი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება ყველა იმ საკითხზე, რომელიც კანონის თანახმად, არ განეკუთვნება თვითმმართველი ერთეულის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას ან სახელმწიფო მმართველობის ორგანოს უფლებამოსილებას და არ არის აკრძალული თვითმმართველი ერთეულისთვის.

საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლი (თვითმმართველი ერთეულის ნებაყოფლობითი უფლებამოსილებები) აკონკრეტებს ნებაყოფლობითი უფლებამოსილების განხორციელების საფუძველებს: თვითმმართველ ერთეულს უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფარგლებში, საკუთარი ინიციატივით მიიღოს სოციალური, კულტურული და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის შექმნისა და განვითარების გადაწყვეტილება იმ საკითხზე, რომელიც კანონის თანახმად, არ განეკუთვნება თვითმმართველი ერთეულის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას ან სახელმწიფო მმართველობის ორგანოს უფლებამოსილებას და არ არის აკრძალული თვითმმართველი ერთეულისთვის.

3. ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიული მართვის ორგანო. გამგეობის (მერიის) რწმუნებული და მათი უფლებამოსილებები

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის მე-6 მუხლის (შესაბამისი ადმინისტრაციული სტრუქტურები და ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა ამოცანების ნყარო) 1-ლი პუნქტის თანახმად: „უფრო ზოგადი საკანონმდებლო დებულებებისათვის ზიანის მიყენების გარეშე, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები უფლებამოსილი არიან განსაზღვრონ თავიანთი შიდა ადმინისტრაციული სტრუქტურები იმ მიზნით, რომ მოხდეს მათი მისადაგება ადგილობრივ საჭიროებებთან და უზრუნველყოფილ იქნას ეფექტური მართვა.“

თვითმმართველ ერთეულში შემავალ ადმინისტრაციულ ერთეულებში მართვის ოპტიმიზაციისა და მოსახლეობის კომუნალური და სხვა საზოგადოებრივი მომსახურებით უზრუნველყოფის მიზნით, საკრებულოს გადაწყვეტილებით იქმნება გამგეობის (მერიის) ტერიტორიული ორგანოები.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ შესაბამისად, ხდება მუნიციპალური დონის თვითმმართველობის ადმინისტრაციული ერთეულის განსაზღვრა. **ადმინისტრაციული ერთეული** არის თვითმმართველი ერთეულის ნაწილი, სადაც იქმნება ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიული ორგანო. ადმინისტრაციული ერთეულებია:

- დასახლება (სოფელი, დაბა, ქალაქი);
- დასახლებათა გაერთიანება (თემი);
- დასახლების ნაწილი (უბანი).

დასახლება - მოსახლეობის განსახლების პირველადი ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც ჰყავს მუდმივი მცხოვრებლები, აქვს ფუნქციონალური ინფრასტრუქტურა და რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. დასახლება შედის თვითმმართველი ერთეულის შემადგენლობაში ან თვითმმართველი ერთეულია. დასახლების კატეგორიებია:

- **სოფელი** - დასახლება, რომლის საზღვრებშიც მოქცეულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის გათვალისწინებული მიწა და სხვა ბუნებრივი რესურსებიან/დარომლის ინფრასტრუქტურა ძირითადად ორიენტირებულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელებაზე;
- **დაბა** - არანაკლებ 3000 მოსახლისაგან შემდგარი დასახლება, რომლის ტერიტორიაზედაც არსებობს სამრეწველო სანარმოები, კომუნალური მეურნეობა, სამკურნალო და სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა ქსელი, რითაც იგი ასრულებს ადგილობრივი ეკონომიკურ-კულტურული ცენტრის ფუნქციებს, ამასთანავე არ გააჩნია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის საკმარისი მიწის სავარგულები. დაბის კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს დასახლება, რომლის მოსახლეთა რიცხვი 3000-ზე ნაკლებია, თუ იგი არის თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული ცენტრი;
- **ქალაქი** - არანაკლებ 5000 მოსახლისაგან შემდგარი მსხვილი დასახლება, რომელსაც აქვს საქალაქო მეურნეობა და ეკონომიკურ-კულტურული ცენტრია. ქალაქის კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს დასახლება, რომლის მოსახლეთა რიცხვი 5000-ზე ნაკლებია, თუ იგი არის თვითმმართველი

ერთეულის ადმინისტრაციული ცენტრი ან აქვს შემდგომი ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის ზრდის უახლოესი პერსპექტივა. ქალაქებს, მათთვის დაკისრებული სპეციფიკური ფუნქციებიდან და სახელმწიფო მნიშვნელობიდან გამომდინარე, შეიძლება მიენიჭოს სპეციალური სტატუსი.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი – გამგეობის (მერიის) რწმუნებული არის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელე, რომელსაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, 1 წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი (მერი).

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის უფლებამოსილებები განისაზღვრება შესაბამისი დებულებით, რომელსაც გამგებლის (მერის) წარდგენით ამტკიცებს საკრებულო. რწმუნებული თავის უფლებამოსილებას ახორციელებს თვითმმართველ ერთეულში შემავალ დასახლებაში (დასახლებათა ჯგუფში (თემში) ან დასახლების ნაწილში (უბანში)).
კერძოდ:

- წარმართავს ტერიტორიული ორგანოს საქმიანობას;
- უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან მოსახლეობის კავშირს;
- აკონტროლებს და გამგებელს/მერს წარუდგენს ინფორმაციას საკრებულოს გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ;
- გამგებელს/მერს წარუდგენს წინადადებებს პრობლემების გადაწყვეტის გზების შესახებ;
- უზრუნველყოფს მონაცემთა შეგროვებას, თვითმმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებათა მოსახლეობისათვის გაცნობას;
- ორგანიზებას უწევს მოსახლეობის გამოკითხვის დასახალხო განხილვების ჩატარებას;
- ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.
- ახორციელებს „ნოტარიატის შესახებ“ კანონის 42-ე მუხლით განსაზღვრულ შემდეგ სანოტარო მოქმედებებს:
 - ა) ადასტურებენ ანდერძებს;
 - ბ) იღებენ ზომებს სამემკვიდრეო ქონების დასაცავად;
 - გ) ამოწმებენ დოკუმენტების პირებისა და ამონაწერების სისწორეს დედნებთან;
 - დ) გადასცემენ პირთა განცხადებებსა და ცნობებს სხვა პირებს;
 - ე) ადასტურებენ მოქალაქის ცოცხლად ყოფნის ფაქტს;

- ვ) ადასტურებენ მოქალაქის განსაზღვრულ ადგილზე ყოფნის ფაქტს;
- ზ) შესაძლებელია იღებენ დოკუმენტებს.

საქართველოს კანონმდებლობით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული გამგებლის (მერის) რწმუნებულის აპარატით უზრუნველყოფა, თუმცა პრაქტიკაში მაინც გვხვდება. როგორც ზემოთ ავლინებთ, რწმუნებულის უფლებამოსილება განსაზღვრება საკრებულოს მიერ მიღებული დებულებით და უმეტეს მუნიციპალიტეტებში სწორედ რომ არსებობს რწმუნებულის აპარატი, რომელშიც შედის სხვადასხვა სფეროს 4-5 სპეციალისტი (მოადგილეები) და მათი საქმიანობა და უფლებამოსილებები განსაზღვრულია ამავე დებულებებში.

4. თვითმმართველ ერთეულში შემავალ ადმინისტრაციულ ერთეულებში მოსახლეობის პრიორიტეტებისა და საჭიროების დადგენის ხერხები

გამგებლის (მერის) რწმუნებულის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს მოსახლეობის წინაშე არსებული პრობლემების და საჭიროებების იდენტიფიცირება, სოფლის მაცხოვრებლებთან შეთანხმებით პირველი რიგის პრიორიტეტების დადგენა და მათი გადამწყვეტის გზების შესახებ წინადადებების მომზადება, რომელსაც შემდგომში წარუდგენს თვითმმართველი ერთეულის გამგებელს (მერს). სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, რწმუნებულის კარგად ერკვეოდეს მოსახლეობის პრიორიტეტებისა და საჭიროების დადგენის ხერხებში.

მოსახლეობის საჭიროებების დადგენის ყველაზე ქმედით ფორმას წარმოადგენს სხვადასხვა ტიპის გამოკითხვების ჩატარება. გამოკითხვები შეიძლება განხორციელდეს როგორც ზეპირი ფორმით, ასევე სპეციალურად შედგენილი კითხვარების საშუალებით. ამასთან აღსანიშნავია, რომ რწმუნებულს გააჩნია მუდმივი კონტაქტი მოსახლეობასთან, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის საჭიროებების უფრო მკაფიო და ეფექტურად გამოვლენას.

საჭიროებების გამოვლენის შემდგომ, პრიორიტეტების განსაზღვრისათვის აუცილებელია სახალხო განხილვების ჩატარება, რაც საშუალებას მისცემს მოსახლეობას აქტიურად იყენონ ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში და თვითონ მოახდინონ უკვე იდენტიფიცირებული საჭიროებებიდან პრიორიტეტების განსაზღვრა. იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება სახალხო კრების ჩატარება, რწმუნებულს შეუძლია იმუშაოს ფოკუს ჯგუფებთან, რომელშიც გაერთიანებული იქნება საზოგადოების სხვადასხვა ფენების წარმომადგენლები და სწორედ მათთან ერთად მოხდება პირველი რიგის პრიორიტეტების დადგენა.

ქვემოთ მოცემული ცხრილის გამოყენებით შესაძლებელია უკვე იდენტიფიცირებული საჭიროებებიდან გამარტივებულად და ზუსტად იქნეს გამოვლენილი პრიორიტეტები. თითოეულ საჭიროებას პრიორიტეტულობის კრიტერიუმებიდან გამომდინარე უნდა მიენიჭოს ქულები ცალ-ცალკე (მაქსიმალური 10 ქულა, მინიმალური 0 ქულა), ქულების დაჯამების შედეგად გამოვლინდება პირველი რიგის პრიორიტეტები, რომელსაც შემდგომში ხმათა უმრავლესობით დამტკიცებს სახალხო კრება ან ფოკუს ჯგუფი.

საჭიროებების დასახელება*/ პრიორიტეტულობის კრიტერიუმი	მოსახლეობის არსებობი- სათვის აუცილებელი	მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი	მუნიციპალიტეტისთვის იმიჯის შექმნელი	უსაფრთხოებისათვის აუცილებელი	სხვა ღონისძიებებთან მჭიდროდ დაკავშირებული	სოციალური დატვირთვის მქონე	სულ:
მუნიციპალიტეტის დასუფთავება							
მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება და მელიორაცია							
სპორტული კომპლექსების მშენებლობა							
ვეტერინარული აცრები							
გარე განათების მოწესრიგება							
გზების დაგება							
სკვერის მოწყობა-მოწესრიგება							
ბავშვებისა და ახალგაზრდების გართობის ღონისძიებები							
გაჭირვებულთა დახმარება							
სხვა საჭიროებები...							

* საჭიროებების დასახელებაში უნდა ჩაინეროს ის საჭიროებები, რომელიც გამოკითხვის შედეგად იქნა დადგენილი. აქ ჩამოთვლილი საჭიროებები ნარმოადგენს მხოლოდ მაგალითს

მოკლედ ახსენით არჩეული პრიორიტეტული ღონისძიებების მნიშვნელობა მოსახლეობისათვის და მუნიციპალიტეტისთვის:

პრიორიტეტების განსზღვრის შემდგომი ეტაპია ამ პრიორიტეტების რეალიზება და პრაქტიკული გადამწყვეტილებების მიღება შესაბამისი ორგანოების მიერ (ამ შემთხვევაში თვითმმართველი ერთეულის ხელმძღვანელების მიერ), სადაც სწორედ რწმუნებულმა თავის თავზე უნდა აიღოს გამოვლენილი პრიორიტეტების ლობირება. ამისათვის კი, საჭიროა, რწმუნებულის მიერ მომზადებული იქნეს პრიორიტეტული პრობლემების გადაჭრის კონკრეტული და მკაფიოდ არგუმენტირებული წინადადებების შემუშავება.

5. საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის პრინციპები და ადგილობრივი შესყიდვები

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ექსკლუზიურ და დელეგირებულ უფლებამოსილებათა განხორციელების მიზნით ადგილობრივ შესყიდვას ახორციელებენ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესების დაცვით. შესყიდვა ხორციელდება შესაბამისი უფლებამოსილების ფარგლებში, ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრებით.

თვითმმართველობის ორგანოები შესყიდვებს ახორციელებენ წინასწარ განსაზღვრული და დამტკიცებული წლიური გეგმის შესაბამისად. შესყიდვების წლიურ გეგმას **ამზადებს გამგეობა/მერია და ამტკიცებს საკრებულო**. დამტკიცებული გეგმა ეგზავნება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილების ამოქმედებიდან არა უგვიანეს 20 კალენდარული დღისა.

შესყიდვების გეგმა უნდა შეესაბამებოდეს შესაბამისი წლის ადგილობრივი ბიუჯეტებით განსაზღვრულ პარამეტრებს, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტების კანონმდებლობით დადგენილ ვადაზე გვიან დამტკიცების შემთხვევაში, აღმასრულებელ ორგანოებს აქვთ უფლებამოსილება ყოველთვიურად გასცენ თანხა გასული წლის ასიგნებების 1/12-ის ოდენობით. აღნიშნული არ ვრცელდება სამშენებლო სამუშაოებზე.

თვითმმართველი ერთეულის შემსყიდველ ორგანიზაციას შეიძლება წარმოადგენდეს:

- თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო — გამგეობა (მერია);
- საკრებულოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო იურიდიული პირი;
- საკრებულოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული სანარმო.

ყველა პიროვნებამ, რომელიც შესყიდვის პროცესში შემსყიდველი ორგანიზაციის ინტერესებს წარმოადგენს (მისი ხელმძღვანელების, თანამშრომლებისა და კონსულტანტების ჩათვლით) თავიდან უნდა აიცილოს **ინტერესთა კონფლიქტის** ყველანაირი სიტუაცია. თუ რომელიმე პიროვნება ინტერესთა კონფლიქტის წინაშე დადგება, მან უნდა შეწყვიტოს ყოველგვარი მონაწილეობის მიღება სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების და კონტროლის პროცესში.

ყოველ პირს, რომელიც ადგილობრივი შესყიდვის ჩატარებისას შემსყიდველი ორგანიზაციის ინტერესებს წარმოადგენს, ექნება **ინტერესთა კონფლიქტი**, თუ ეს პირი:

- მონაწილეობს ადგილობრივ შესყიდვაში;
- არის შესყიდვაში მონაწილე რომელიმე ორგანიზაციის მფლობელი, აკონტროლებს მას ან არის მისი თანამშრომელი;
- არის შესყიდვის პროცედურაში მონაწილე ორგანიზაციის თანამშრომლის ან ხელმძღვანელი აპარატის წევრის ახლო ნათესავი ან უშუალოდ მონაწილის ახლო ნათესავი, თუ ეს უკანასკნელი ფიზიკური პირია;
- ბოლო სამი წლის განმავლობაში მუშაობდა შესყიდვის პროცედურებში მონაწილე ორგანიზაციაში ხელმძღვანელ თანამდებობაზე;

- პირადი ან საქმიანი ინტერესით დაკავშირებული ან მოლაპარაკებას აწარმოებს ასეთი კავშირების დამყარების თაობაზე შესყიდვის პროცედურებში მონაწილე იურიდიულ ან ფიზიკურ პირებთან;
- შესყიდვის პროცედურის შედეგით პირადადაა დაინტერესებული (ან აქვს ფინანსური ინტერესი).

ადგილობრივი შესყიდვის განხორციელების საშუალებები

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულებით განსაზღვრულია შესყიდვის შემდეგი საშუალებები:

- ტენდერი;
- ფასთა კოტირება;
- ერთ პირთან მოლაპარაკება;

ტენდერი

ტენდერს შემსყიდველი ორგანიზაცია აცხადებს იმ შემთხვევაში, თუ შესასყიდი საქონლისა და მომსახურების ღირებულება აღემატება 100 000 ლარს, ხოლო სამშენებლო სამუშაოების შემთხვევაში 200 000 ლარს.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ სატენდერო კომისიის მიერ *ქვეყნდება სააგენტოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განსაზღვრულ საინფორმაციო საშუალებაში (სააგენტოს თავმჯდომარის მიერ ასეთ საინფორმაციო საშუალებად განსაზღვრულია გაზეთი „24 საათი“)*. ტენდერის ჩატარების შემთხვევაში, განცხადების გავრცელებისათვის შეიძლება გამოყენებული იქნეს სხვა საინფორმაციო საშუალებაც, რომელიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით ვაჭრობის საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებულ ერთ-ერთ ენაზე. აღნიშნულ საინფორმაციო საშუალებაში გამოქვეყნებისას, განცხადება იმავე თარიღით შესაძლებელია გამოქვეყნდეს სხვა საინფორმაციო საშუალებებში (მაგალითად, შესყიდვების სააგენტოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ვებ-გვერდებზე და ა.შ.).

განცხადებაში ტენდერის ჩატარების შესახებ, სატენდერო დოკუმენტაციაში და სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვა დოკუმენტებში საქონლის, სამუშაოების, მომსახურების აღწერა უნდა იყოს მკაფიო და გასაგები. შესყიდვის ობიექტის აღწერისათვის გამოყენებული ტექსტური მასალები, სპეციფიკაციები, გეგმები, ნახაზები, ესკიზები, მომსახურების აღწერილობა და სხვა ობიექტურად უნდა ასახავდეს შესასყიდი საქონლის, სამუშაოების, მომსახურების ტექნიკურ და ხარისხობრივ პარამეტრებს, რომლებიც უნდა ეფუძნებოდეს ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტულ მაჩვენებლებს, მოთხოვნებს, ტერმინოლოგიას და პირობით აღნიშვნებს (თუ ასეთები არსებობს).

ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს საკვალიფიკაციო მონაცემებისა და

სატენდერო წინადადებების წარმოდგენამდე უფლება აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

შემსყიდველი ორგანიზაცია ყოველი კონკრეტული შესყიდვისათვის განსაზღვრავს მოთხოვნებს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტთა საკვალიფიკაციო მონაცემები. საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეიძლება დაწესებული იქნეს პრეტენდენტთა პროფესიონალური და ტექნიკური კვალიფიკაციის, ფინანსური რესურსების, გამოცდილებისა და რეპუტაციის, ტექნიკური აღჭურვილობის და სხვა მატერიალური შესაძლებლობების, ასევე იმ საკითხების მიმართ, რომელიც ეხება მათი საქმიანობის სამართლებრივ მხარეს.

პრეტენდენტები, სატენდერო დოკუმენტაციის მიღებამდე, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში მითითებულ ანგარიშზე ვალდებული არიან ჩარიცხონ **სატენდერო მოსაკრებელი 200 ლარის ოდენობით**. ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით განხორციელებული შესყიდვისას ან ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული შესყიდვისას, შესაძლებელია, ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა იყოს განსხვავებული, მაგრამ ის არ უნდა აღემატებოდეს 200 ლარს. თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობით ორგანოს – საკრებულოს აქვს უფლებამოსილება დაადგინოს მოსაკრებლის კონკრეტული თანხა. ინსტრუქციით გათვალისწინებულ ზოგიერთ შემთხვევაში, სატენდერო მოსაკრებელი ექვემდებარება უკან დაბრუნებას, თუ შემსყიდველმა ორგანიზაციამ ვერ უზრუნველყო მოსაკრებლის გადამხდელი პირისათვის სატენდერო დოკუმენტაციის დროულად გადაცემა. მოსაკრებლის დაბრუნების საფუძველს ასევე წარმოადგენს სატენდერო კომისიის ან სასამართლოს გადაწყვეტილება.

ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების გამოქვეყნებამდე, სატენდერო კომისია ადგენს და ამტკიცებს სატენდერო დოკუმენტაციას¹, რომელიც ზემოაღნიშნული სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდგომ გადაეცემა იმ პირს/პირებს, რომლებიც აპირებენ ტენდერში მონაწილეობას.

სატენდერო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტებსა და ინფორმაციას:

- მოთხოვნებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდნენ პრეტენდენტები შესყიდვაში მონაწილეობის მისაღებად;
- ინსტრუქციას პრეტენდენტთა სატენდერო წინადადებების შედგენისა და წარდგენის შესახებ;
- პრეტენდენტთა სატენდერო წინადადებების შეფასების წესებსა და კრიტერიუმებს, ამ კრიტერიუმების პრიორიტეტულობის მითითებით;
- შესასყიდი საქონლის რაოდენობის, სამუშაოების, მომსახურების მოცულობის, საქონლის მინოდების, სამუშაოს შესრულების ან მომსახურების განვეის სავალდებულო ან სასურველ ვადებს და ადგილს, სახელმწიფო შესყიდვის შესრულების პროცესში დამატებითი მომსახურების განვეის საჭიროებას ან მისი აუცილებლობის წარმოქმნის შესაძლებლობის შესახებ (ასეთი მომსახურების აღწერის ჩათვლით) და სხვა მონაცემებს, რომელთა მითითებასაც შემსყიდველი ორგანიზაცია ჩათვლის საჭიროდ შესყიდვის

¹ ტიპური სატენდერო დოკუმენტაცია მოცემულია №1 დანართში.

ობიექტთან დაკავშირებით;

- შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მონაცემების სრულ აღწერას, მ.შ. შესაბამის სტანდარტებს, ტექნიკურ სპეციფიკაციებს, გეგმებს, ნახაზებსა და ესკიზებს, საჭიროების შემთხვევაში, შესყიდვის ობიექტის ალტერნატიულ ტექნიკურ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს;
- მოთხოვნას შემოთავაზებული საქონლის ხარისხის დადასტურების შესახებ, აგრეთვე იმ სპეციალური ტესტებისა და მეთოდების აღწერას, რომლებიც გამოყენებული იქნება საქონლის ხარისხის დადგენისას, მშენებლობის შემთხვევაში – მისი ტექნიკური პარამეტრების სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასებისას, ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვისას აუცილებლობის შემთხვევაში – შეფასების ძირითადი პარამეტრების მოთხოვნილ დონესთან შესაბამისობის დასადგენად გამოყენებულ მეთოდებს;
- სატენდერო წინადადების ფასის გაანგარიშების წესს, საქონლის, სამუშაოების, მომსახურების ღირებულებასთან ერთად სხვა ხარჯების გათვალისწინებით (ტრანსპორტირება, დაზღვევა, გადასახადები და სხვა);
- მითითებას იმ კონვერტირებადი ვალუტის შესახებ, რომელშიც უნდა იყოს გაანგარიშებული სატენდერო წინადადების ფასი, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სატენდერო წინადადებების ფასის გაანგარიშება დაშვებულია სხვადასხვა ვალუტაში – მითითებას მათი სავალუტო კურსის თაობაზე ეროვნული ვალუტის მიმართ;
- მითითებას ქართული ენის გარდა, სატენდერო წინადადებების მომზადებისას სხვა ენის გამოყენების თაობაზე;
- სატენდერო წინადადებების წარდგენის ვადასა და ადგილს;
- მითითებას იმის შესახებ, დასაშვებია თუ არა ალტერნატიული წინადადებების წარდგენა;
- მითითებას პრეტენდენტების მიერ სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებების მოთხოვნის შესაძლებლობის შესახებ, შესაბამისი პროცედურების აღწერას, შემსყიდველი ორგანიზაციის იმ თანამშრომელთა ვინაობას და საკონტაქტო კოორდინატებს, რომელთაც უფლება აქვთ იქონიონ კავშირი პრეტენდენტებთან და მიაწოდონ მათ ინფორმაცია და განმარტებები შესყიდვის პროცედურების შესახებ²;
- მოთხოვნას სატენდერო წინადადებების მოქმედების მინიმალური ვადის თაობაზე, რისთვისაც გათვალისწინებული უნდა იქნეს ტენდერის ხანგრძლივობა, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების სავარაუდო ვადა და ამ პროცესში შესაძლო დაბრკოლებები;
- შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს სატენდერო წინადადებების

2 ორეტაპიანი ტენდერის ჩატარების შემთხვევაში, უნდა შეიცავდეს ინფორმაციას იმის შესახებ, აპირებს თუ არა შემსყიდველი ორგანიზაცია სატენდერო წინადადებების მიღების დაწყებამდე პრეტენდენტების საერთო კრების ჩატარებას ან/და სახელმწიფო შესყიდვის შესრულების ადგილის დათვალეიერებისთვის მათ მონვევას, კრების ჩატარების (დათვალეიერების) ადგილისა და თარიღის მითითებით.

უზრუნველყოფის (გარანტიის), სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების გარანტირების, შესყიდვის ობიექტის და ხელშეკრულების შესრულების ცალკეული ეტაპების დაზღვევის თაობაზე, წარმოსადგენი გარანტიების ღირებულების ოდენობისა და ფორმის, დაზღვევის პირობების ჩათვლით;

- მითითებას იმ დამატებით ვალდებულებებზე, რომლებიც უნდა იკისროს მიმწოდებელმა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების გარდა (მაგალითად, ტექნოლოგიის გადაცემა, ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების გადაცემა, სპეციალისტების ტრენინგი და სხვა);
- ინფორმაციას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ძირითადი პირობების თაობაზე;
- ინფორმაციას პრეტენდენტთა სატენდერო წინადადებათა გახსნის თარიღის, ადგილისა და წესის შესახებ;
- ინფორმაციას სატენდერო წინადადებების შეფასებისათვის, დადგენილი კრიტერიუმების, მათი პრიორიტეტულობის კოეფიციენტების და შეფასების წესის შესახებ;
- მითითებას პრეტენდენტების უფლებების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია სატენდერო წინადადების გატანასთან, მასში ცვლილებების შეტანასთან, წარმოდგენილი გარანტიების და გადახდილი მოსაკრებლის დაბრუნებასთან, წარმოქმნილი პრეტენზიების გასაჩივრებასთან;
- მითითებას შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებაზე, კანონმდებლობით განსაზღვრული პირობების შემთხვევაში, შეწყვიტოს ტენდერის ნებისმიერ ეტაპზე შესყიდვის განხორციელება ან უარყოს ყველა სატენდერო წინადადება;
- ნებისმიერ სხვა მოთხოვნას, რომელიც შეიძლება გააჩნდეს შემსყიდველ ორგანიზაციას სატენდერო წინადადებების მიმართ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად.

სატენდერო წინადადებების უზრუნველყოფის მიზნით შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს გამოიყენოს გარანტირების მექანიზმი სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით. ამ შემთხვევაში ტენდერში მონაწილე პრეტენდენტები ვალდებული არიან წარუდგინონ შემსყიდველ ორგანიზაციას თავისი სატენდერო წინადადებების უზრუნველყოფის შემდეგი ფორმის გარანტიები:

- შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წინასწარ დადგენილი თანხის ოდენობის საბანკო გარანტია;
- ბანკის მიერ დამონმებული ჩეკი;
- აკრედიტივი;
- გარანტიის სხვა საშუალება.

საგარანტიო მოთხოვნა თანაბრად უნდა ეხებოდეს ტენდერში მონაწილე ყველა პრეტენდენტს. დაუშვებელია, სატენდერო წინადადებების უზრუნველყოფის მიზნით შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშზე თანხის შეტანა (ჩარიცხვა).

სატენდერო წინადადებების **გარანტირების მექანიზმის გამოყენება**
სავალდებულოა:

- თუ შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება აღემატება 200.000 ლარს, ხოლო სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის შემთხვევაში 1.000.000 ლარს;
- თუ შესასყიდი ობიექტი გამოირჩევა განსაკუთრებული სირთულით და/ან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების ვადას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება, მიუხედავად შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებისა.

ტენდერში გამარჯვებულ პირთან დადებული **სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება** უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- ✓ ხელშეკრულების მხარეების ზუსტი დასახელება და რეკვიზიტები;
- ✓ ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, ტექნიკური პარამეტრები, ძირითადი მახასიათებლები და საიდენტიფიკაციო მონაცემები, როდენობა, ერთეულის ან/და მთლიანი ღირებულება;
- ✓ ხელშეკრულების ჯამური ღირებულება (ფასდათმობების, გადასახადების, ტრანსპორტირების, დაზღვევის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით);
- ✓ შესასყიდი საქონლის, სამუშაოს, მომსახურების ხარისხი. საჭიროების შემთხვევაში არსებულ სტანდარტებთან შესაბამისობა;
- ✓ საქონლის მიწოდების, სამუშაოს შესრულების, მომსახურების განვების ეტაპობრივი ვადები და ადგილი;
- ✓ საქონლის, სამუშაოების, მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი;
- ✓ ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი;
- ✓ მხარეთა უფლება-მოვალეობანი;
- ✓ მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის;
- ✓ ფორს-მაჟორული სიტუაციები;
- ✓ ხელშეკრულების პირობების, მ.შ. ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა;
- ✓ ხელშეკრულების მოქმედების ვადა;
- ✓ დავების გადაწყვეტის წესი;
- ✓ სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის შემთხვევაში, თუ სამშენებლო ობიექტი განლაგებულია საქართველოს ტერიტორიაზე – მითითება იმის შესახებ, რომ სამუშაოების შესრულებაში მონაწილე საინჟინრო-ტექნიკური პერსონალისა და მუშა-მოსამსახურეების შემადგენლობის არანაკლებ 70% უნდა იყვნენ საქართველოს მოქალაქეები;
- ✓ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები.

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განხორციელების მიზნით, შემსყიდველ ორგანიზაციას ევალება გამოეყოს კოორდინატორი ან თანამშრომელთა შემადგენლობით შექმნას სპეციალური ინსპექტირების ჯგუფი.

ფასთა კოტირება

ფასთა კოტირება შესაძლებელია გამოყენებულ იქნას იმ საქონლის ან მომსახურების შესყიდვისათვის, რომლის სავარაუდო ღირებულება აღემატება 50.000 ლარს და ნაკლებია 100.000 ლარზე, აგრეთვე სამშენებლო სამუშაოს შესყიდვისათვის, რომლის სავარაუდო ღირებულება აღემატება 100.000 ლარს და ნაკლებია 200.000 ლარზე.

დებულების შესაბამისად შედგენილი **დოკუმენტაცია**³ ეგზავნება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წინასწარ, სათანადოდ შერჩეულ, არანაკლებ 3 პირს. შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია ან დოკუმენტაცია შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებით. მოწვეულმა პირებმა თავისი გადაწყვეტილება დოკუმენტაციის დაგზავნიდან არაუგვიანეს 5 დღისა უნდა აცნობონ შემსყიდველ ორგანიზაციას, ხოლო თანხმობის შემთხვევაში დოკუმენტაციის მიღებიდან არაუგვიანეს 15 დღისა წარუდგინონ მას ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი განაცხადი თანდართულ შემდეგ დოკუმენტებთან ერთად:

- განცხადება მონაწილეობაზე;
- ინფორმაცია ტექნიკური შესაბამისობის შესახებ;
- ინფორმაცია ფასებისა და მიწოდების გრაფიკის შესახებ.

მონაწილეების მიერ წარდგენილი განაცხადებიდან გამარჯვებული შერჩეული უნდა იქნეს განაცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 დღეში.

გამარჯვებულად მიიჩნევა მონაწილე, რომლის განაცხადი სრულად შეესაბამება ფასთა კოტირების დოკუმენტაციის პირობებს და აქვს უმცირესი ფასი. შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება დაიდება გამარჯვებულის გამოვლენის დღიდან არაუგვიანეს 5 დღისა.

ერთ პირთან მოლაპარაკება

ერთ პირთან მოლაპარაკება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ:

- შესასყიდი საქონლის ან მომსახურების სავარაუდო ღირებულება არ აღემატება 50.000 ლარს, ხოლო სამშენებლო სამუშაოს სავარაუდო ღირებულება – 100.000 ლარს;
- საქონლის მიწოდება, სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა მხოლოდ ერთი პირის ექსკლუზიური უფლებაა⁴;

3 ტიპიური დოკუმენტაცია მოცემულია 1 დანართში.

4 ექსკლუზიურ უფლებად საქონლის მიწოდებაზე, სამუშაოს შესრულებაზე, მომსახურების გაწევაზე არ განიხილება შემთხვევა, როცა არსებობენ სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირები, რომელთაც შეუძლიათ განახორციელონ ჩანაცვლებადი საქონლის მიწოდება, სამუშაოების შესრულება, მომსახურების გაწევა.

- არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა⁵;
- მიმწოდებლისგან შესყიდული საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების მიზნით, აგრეთვე თუ მიღებული საქონლის ან შესრულებული სამუშაოს შედეგის შემდგომი ექსპლუატაციის უზრუნველსაყოფად აუცილებელია საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების შესყიდვა იმავე მიმწოდებლისგან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც განსახორციელებელი შესყიდვის სავარაუდო ღირებულება აღემატება თავდაპირველი მიწოდების ღირებულებას.

ერთ პირთან მოლაპარაკებას შესყიდვის განხორციელების შესახებ აწარმოებს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

იმ შემთხვევაში, თუ ერთ პირთან მოლაპარაკებით შესყიდული საქონლის ან მომსახურების ღირებულება აღემატება 100.000 ლარს, ხოლო სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის შემთხვევაში 200.000 ლარს, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია ხელშეკრულების დადებიდან 30 დღის ვადაში გამოაქვეყნოს ინფორმაცია ხელშეკრულების დადების თაობაზე გაზეთ „24 საათში“.

⁵ ასეთ შემთხვევაში შესასყიდი საქონლის, სამუშაოს ან მომსახურების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს აუცილებლობით გამოწვეული პრობლემების მოსაგვარებლად საჭირო ვადებს. შემსყიდველმა ორგანიზაციამ მაქსიმალურად უნდა აარიდოს თავი შესყიდვის განხორციელების გაჭიანურებას, რათა ხელოვნურად არ შეიქმნას შესყიდვის დაუყოვნებლივ განხორციელების აუცილებლობა. აღნიშნულ საკითხზე შემსყიდველი ორგანიზაცია გადანყვეტილებას იღებს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის შუამდგომლობით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან შეთანხმებით ან/და შემსყიდველ ორგანიზაციაზე სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო ორგანოს წერილობითი თანხმობისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან შეთანხმებით.

Ե Ն Ն Ա Ր Մ Ո Յ Ո

დანართი №1 სატენდერო დოკუმენტაციის ტიპური ფორმები

სატენდერო წინადადება

თარიღი:-----

ვის:-----
(შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება)

ვისგან:-----
(პრეტენდენტის დასახელება და მისამართი)

შევინაველეთ რა სატენდერო დოკუმენტაცია, თანახმა ვართ სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად განვახორციელოთ-----

(შესყიდვის ობიექტის აღწერა)

შესრულება და გთავაზობთ ზემოაღნიშნულის შესრულებას შემდეგ ფასად:

ლოტი N 1.----- (ციფრებით)----- (სიტყვიერად)----- (ვალუტა).

ლოტი N 2.----- (ციფრებით)----- (სიტყვიერად)----- (ვალუტა).

ლოტი N3 ----- (ციფრებით)----- (სიტყვიერად)----- (ვალუტა).

ალტერნატივა (ალტერნატიული წინადადების წარდგენის დაშვების შემთხვევაში):

(ალტერნატიული წინადადების არსი და ფასი)

ჩვენი სატენდერო წინადადების გამარჯვების შემთხვევაში, ვიღებთ ვალდებულებას დაეინყოთ სამუშაოს შესრულება ----- დღის განმავლობაში და დავასრულოთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების (შემდგომ „ხელშეკრულება“) ძალაში შესვლიდან ----- დღეში (სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნების შესაბამისად, აქ შეიძლება ჩაიწეროს სამუშაოს შესრულების ვადები ან დაწყება-დასრულების კონკრეტული თარიღი).

სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნათა შესაბამისად, ჩვენი სატენდერო წინადადება უზრუნველყოფილია გარანტიით (ამ მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში).

ჩვენი სატენდერო წინადადების გამარჯვების შემთხვევაში, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად ჩვენს მიერ წარმოდგენილი იქნება -----
შემდეგ თანხაზე:

(საბანკო გარანტია, დაზღვევა ან სხვა)

----- (ხელშეკრულების შესრულების
(ციფრებრივად, სიტყვიერად, ვალუტის მითითებით)

უზრუნველყოფის მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში).

წინამდებარე სატენდერო წინადადება ძალაში----- დღის განმავლობაში, დან-
ყებული

შემდეგი თარიღიდან:----- .

ამით ვადასტურებთ, რომ გაცნობილნი ვართ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართვე-

ველოს კანონსა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების შესახებ“ დებულებას და ტენდერის მსვლელობის დროს ვიმოქმედებთ დადგენილი ნორმების ფარგლებში.

სატენდერო წინადადებას თან ახლავს შემდეგი დანართები (გვერდების რაოდენობის მითითებით):*

1. ხარჯთაღრიცხვა (დანართი 1);
- 2.
- 3.
- .
- .
- .

(ხელმოწერა)

(თანამდებობა)

(პრეტენდენტის დასახელება)

**სატენდერო წინადადების საგარანტიო უზრუნველყოფა
(საბანკო გარანტიის შემთხვევაში)**

ვითვალისწინებთ რა, რომ -----
(ბირი, რომელზეც გაიცემა საგარანტიო წერილი)

(შემდგომში „პრეტენდენტი“) მზად არის წარმოადგინოს თავისი სატენდერო წინადადება
-----სატენდერო კომისიის მიერ
(შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება)

-----შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის
(სამუშაოს დასახელება)

მისაღებად, ჩვენ -----(შემდგომში „ბანკი“)
(ბანკის დასახელება)

ვ ა დ ა ს ტ უ რ ე ბ თ, რ ო მ

ვიღებთ ვალდებულებას ----- (შემდგომში „შემსყიდველი“)
(შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება)

წინაშე, რომლის მიხედვითაც დროულად და სრულად უზრუნველყოფთ შემსყიდველისათ-
ვის ----- გადახდას
(თანხა ციფრობრივად, სიტყვიერად, ვალუტის მითითებით)

შემდეგ შემთხვევებში:

1. თუ სატენდერო წინადადებების გახსნის შემდეგ პრეტენდენტმა უარი განაცხადა ტენდერში მონაწილეობაზე, თავისი სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის დასრულებამდე;
2. თუ პრეტენდენტი გამარჯვების შემთხვევაში უარს განაცხადებს შემსყიდველთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე;
3. თუ პრეტენდენტი დისკვალიფიცირებულ იქნა შესყიდვის პროცედურების დროს არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

გარანტია ძალაში რჩება -----მდე *
(თარიღი)

გარანტიის მოქმედების ვადა უნდა იყოს პრეტენდენტის სატენდერო წინადადების მოქმედების ვადაზე 30 კალენდარული დღით მეტი.

ბანკი უზრუნველყოფს საგარანტიო თანხის გადახდას შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებისთანავე, შემსყიდველის მხრიდან ყოველგვარი მტკიცებულებების წარმოდგენის გარეშე, იმ პირობით, რომ შემსყიდველის მოთხოვნაში მითითებული იქნება რომელი ზემოაღნიშნული შემთხვევის (შემთხვევების) დადგომის გამო ეკუთვნის მას ეს თანხა და შემსყიდველის მოთხოვნა საგარანტიო თანხის გადახდაზე წარედგინება ბანკს გარანტიის მოქმედების ვადის დასრულებამდე.

(ხელმოწერა)

(სახელი, გვარი, თანამდებობა)

დამონმბებულია ბანკის ბეჭდით ----- 200-- წ.

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ----- 200 -- წ.
ერთის მხრივ ----- (შემსყიდველის დასახელება და იურიდიული მისამართი) ----- (შემდგომში „შემსყიდველი“)

და მეორეს მხრივ ----- (მიმწოდებლის დასახელება და იურიდიული მისამართი) ----- (შემდგომში „მიმწოდებელი“)

შორის და მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:

შემსყიდველმა გამოაცხადა ტენდერი შესყიდვაზე, -----

(სამუშაოს მოკლე აღწერა)

და მიიღო მიმწოდებლისაგან სატენდერო წინადადება სამუშაოს შესრულებაზე შემდეგ თანხაზე: -----
(მიუთითეთ ხელშეკრულების თანხა ციფრებითა და სიტყვიერად)

(შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“).

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.
2. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს, კერძოდ:
 - ა) წინამდებარე ხელშეკრულება;
 - ბ) მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება, სამუშაოების შესრულების მეთოდები, გრაფიკი და ხარჯთაღრიცხვა;
 - გ) სამუშაოების შესრულების ვადები;
 - დ) ტექნიკური პირობები;
 - ე) ხელშეკრულების საერთო პირობები;
 - ვ) ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები;
 - ზ) ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა (თუ ეს შექანიში გამოიყენება).
 - თ) ნახაზები და სპეციფიკაციები;
3. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შეუსრულოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული სამუშაოები ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
4. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.
5. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაო პროცესში ჩართული საინჟინრო-ტექნიკური პერსონალის და მუშა-მოსამსახურეების შემადგენლობა უზრუნველყოს საქართველოს მოქალაქეებით არანაკლებ 70%-ის ოდენობით, თუ სამშენებლო ობიექტი განლაგებულია საქართველოს ტერიტორიაზე.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

ხელის მოწერა და ბეჭედი -----

(შემსყიდველის სახელი, გვარი)

ხელის მოწერა და ბეჭედი -----

(მიმწოდებლის სახელი, გვარი)

დანართი №2. დოკუმენტაცია ფასთა კოტირების საშუალებით საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების შესყიდვისათვის

მონვევა ფასთა კოტირების პროცედურაში მონაწილეობისათვის

ფორმა №1

(ადრესატის დასახელება)

თარიღი: „----“ ----- 200-- წ.

თქვენი განაცხადი წარდგენილ უნდა იქნას „----“ ----- 200---- წ.

(თარიღი აღნიშნავს განაცხადის წარდგენისთვის დადგენილი ვადის დასრულებას)

1. -----
– შემდგომში

(შემსყიდველი ორგანიზაცია)

„შემსყიდველი“ ფლობს სახსრებს ----- შესყიდვისათვის.
(შესყიდვის ობიექტი)

ეს სახსრები გამოყენებული იქნება ამ პროცედურის ჩატარების შედეგად დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად. შემსყიდველი პასუხისმგებელია აღნიშნული პროცედურის შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესით განხორციელებაზე, უფლებამოსილია შეარჩიოს მოსაწვევი პირები, შეაფასოს მათი განაცხადები და გამარჯვებულის გამოვლენიდან არაუგვიანეს 5 დღისა დადოს მასთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.

2. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შემსყიდველი გიწვევთ ფასთა კოტირების პროცედურაში მონაწილეობისათვის და გთხოვთ წარმოადგინოთ თქვენი განაცხადი შემდეგი დოკუმენტებისა და ფორმების მიხედვით:

- ა) განცხადება მონაწილეობაზე (ფორმა №4);
- ბ) ინფორმაცია ტექნიკური შესაბამისობის შესახებ (ფორმა №2);
- გ) ინფორმაცია ფასებისა და მიწოდების გრაფიკის შესახებ (ფორმა №3);
- დ) საჭიროების შემთხვევაში წინამდებარე მოსაწვევის ამავე პუნქტში მიეტი თ ე ბ ა შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტების ჩამონათვალი.

3. განაცხადი გაგზავნილ უნდა იქნეს შემდეგ მისამართზე:

4. განაცხადის მიღების ბოლო ვადაა „----“ ----- 200-- წ.

აღნიშნული ვადის შემდეგ წარმოდგენილი განაცხადი არ განიხილება.

5. განაცხადები შეფასდება „----“ ----- 200-- წ.

(თარიღი)

(დრო)

შემდეგ მისამართზე: -----

6. განაცხადი წარდგენილ უნდა იქნას ქართულ ენაზე მე-3 პუნქტში მითითებულ მისამართზე.

7. ფასები შემოთავაზებულ უნდა იქნას ----- (ეროვნულ ვალუტაში)

8. მიწოდება იწარმოება „განაცხადში ფასებისა და მიწოდების გრაფიკის შესახებ“ შესაბამისად.

9. განაცხადი ძალაშია მინიმუმ ----- კალენდარული დღის განმავლობაში მისი წარდგენის დღიდან.

10. შემოსული განაცხადის შეფასება წარმოებული იქნება „ტექნიკური შესაბამისობისა“ და „ფასებისა და მიწოდების გრაფიკის“ ფორმების მიხედვით. განაცხადი, რომელიც არ პასუხობს მე-2 პუნქტში აღნიშნულ პირობებს იქნება უარყოფილი, როგორც კოტირების პროცედურაში მონაწილისთვის გაგზავნილ მოწვევაში მითითებულ მოთხოვნებთან შეუსაბამო.

11. გამარჯვებულად მიიჩნევა და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება დაიდება შემსყიდველ ორგანიზაციასა და იმ მიმწოდებელს შორის, რომელმაც წარმოადგინა უმცირესი ფასი და რომელიც აკმაყოფილებს შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს.

ინფორმაცია ტექნიკური შესაბამისობის შესახებ

ფორმა №2

მონაწილე პირი -----

თარიღი: -----

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება	შესყიდვის ობიექტის აღწერილობა	ინფორმაცია შესაბამისობის შესახებ
1	2	3	4

შენიშვნა:

1) წინამდებარე ფორმის 1, მე-2 და მე-3 სვეტი ივსება შემსყიდველის მიერ და მოსანვევთან ერთად ეგზავნება მონვეულ პირს. შემსყიდველის მიერ აღნიშნულის შეცვლისას გათვალისწინებულ უნდა იქნას შესასყიდი საქონლის რაოდენობა, სამუშაოებისა და მომსახურების მოცულობა, საქონლის მიწოდების, სამუშაოს შესრულების, მომსახურების განხორციელების საავალდებულო და/ან სასურველი ვადები და ადგილი, შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მონაცემების სრული აღწერა, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში სხვა დამატებითი ინფორმაცია, რასაც საჭიროდ ჩათვლის შემსყიდველი ორგანიზაცია.

2) მე-4 სვეტი ივსება მიმწოდებლის მიერ, ნაჩვენები უნდა იქნეს შეთავაზებული საქონლის, სამუშაოს, მომსახურების პარამეტრები თითოეული იმ პუნქტის მიხედვით, რომელიც მიუთითა შემსყიდველმა მარცხენა სვეტში).

ინფორმაცია ფასებისა და მიწოდების გრაფიკის შესახებ

ფორმა №3

(ივსება მიმწოდებლის მიერ)

№	საქონლის აღწერილობა	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი	მიწოდების ადგილი	მიწოდების ვადა

განცხადება მონაწილეობაზე

ფორმა №4

ფასთა კოტირების პროცედურაში თქვენს -----

(მიეთითება მოწვევის თარიღი)

მოწვევასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ განზრახული გვაქვს მივიღოთ მონაწილეობა პროცედურაში და წარმოგიდგინოთ ჩვენი განაცხადი შემდეგი დოკუმენტების მიხედვით:

ა) წინამდებარე განცხადება;

ბ) ინფორმაცია ტექნიკური შესაბამისობის შესახებ;

გ) ინფორმაცია ფასებისა და მიწოდების გრაფიკის შესახებ;

დ) საჭიროების შემთხვევაში წინამდებარე განცხადების ამავე პუნქტში მიეთითება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დამატებით მოთხოვნილი ინფორმაცია და დოკუმენტების ჩამონათვალი.

ვადასტურებთ რა, რომ ჩვენ ----- ვეთანხმებით თქვენს

(მონაწილე პირის დასახელება)

მოწვევაში აღნიშნულ ყველა პირობას, ვიღებთ ვალდებულებას გაგიფორმოთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება ჩვენს მიერ წარმოდგენილი პირობების შესაბამისად.

წინამდებარე განაცხადი ძალაშია -----

მონაწილე პირის

ხელმძღვანელის ხელმოწერა

შენიშვნებისთვის

შენიშვნებისთვის